

საქართველო

სურათებიანი ლამაზი

გაზეთის № 173

ლამაზების № 9

პვირა, 20 ქრისტეშობისთვე 1915 წ.

შიო მღვიმელის სამწარმო ასპარაჟი 30 წლის უახლესების გამო



შიო მღვიმელი ბავშვებთან.

გიგია შიოს

შენ გაზაფხულის ცრემლი ხარ,
ყუყუნა წვიმად ქცეული,
ყვავილთა სასიხარულოდ
წვეთ-წვეთად ჩამორხეული.

დილა

„იღვე ბინდი ღამისა, ცაზედ ვარსკვლავნი ჰქრებიან“,
ნაწყვეტ-ნაწყვეტი ღრუბლები მთის წვერებს ეფინებიან.
დილის ცისკარმაც ადგილი დაუთმო მზისა სიივებსა
და დილამ ნახად მორთულმა აღუძრა ენა ფრინველებსა!
რაკა ხანია ტოროლამ ბუდიდან დაიფთხრიალა,
წავიდა მაღლა ტრიალით, გალობა დააწკრილა.
იამ თავდახრით ბუჩქებში შეიშრო ცისა ცვარები
და მებრემ ზღაზენით მინდვრისკენ გამოიძოვა ხარები.
ლაქვარდ ცაზედა მეფურად მოსკურავს სხივოსნიანი
და დღეით შუა მდინარე მოშუთის მკვახე ხმანი.
იმის გარეშემო ფოთლნარი სდუმს და აღარა შრიალებს,
კლდიდგან კლდედ გადმომდინარი წყაროც ქვე ჩამოჩხრიალებს.
აგერ მინდვრიდან მოისმის სიმღერა ნალეველ-ხმანი,
მკენესარი, გულის დამღონე, ჭირ-მომთქმე სევდოსნიანი.
ეს ხმაა მინდვრად მშრომელთა ზე-მოვლენილთა ამიერ,
ბარაქა იმათ ნაშრომსა იცოცხლონ მრავალ-ჭაპიერ!

შიო მღვიმელი.

(გაზ. „დროება“ 1885 წ. № 133).


ციტ მიწას ეცვარნამები,
ისრულებ ღვთიურ სურვილსა
და საქართველოს გულ-მკერდზე
ია-ვარდს უკლავ წყურვილსა!

გ. უიშვილი.

გაწყვეტილი ჩანგის სიმი უნდათ კიდეც გაამთელონ,
ააქლერონ წკრიალითა და სიშვარით აღარ თელონ.
აღლდგინონ დამსხვრეული ძველი სიმხნე, ძველი ძალა,
გაუქარწყლონ რაც აქამდის სვა ნალეველი და სამსალა.
მაგრამ ერთხელ ნაწამებ გულს განა რითმე გაჰკურნავენ?
მათ რომ უნდათ, იმ ნაკვერჩხალს გაღვივებულს ვერ ნახავენ!
ობოლ გულის ნაპერწყალი გულშივე ღრმად ჩაემალა;
გადეფარა ზედ ნაცარი, მაგრამ სულ კი არ გამქრალა.
თავისთავად იკრებს ძალას, მეტის ღონით ემზადება
და როდესაც ჭეშმარიტი სიყვარული გამოჩნდება,—
მხოლოდ მაშინ ტაკი-ტაკით ავარდება ცეცხლის ალად
და თუ შესძლო კვლავ სიკეთე გადექვეა თავს მკურნალად!

შიო მღვიმელი.

1915 წ. ქრისტეშობისთვე.



შიო მღვიმელი.



† ევგენია ივანესასული კოტიევისა.
(იხ. „საქ.“ № 172).

შიო მღვიმელი

ჩემ სულს მუდამ სდარაჯობდი, მუდამ მყავდი სულის მცველად; იმედის სხივს გულში ზრდიდი, სევდა ტანჯვის დასაწველად!..
შენ აღმიდგი ჩვილ ყრმას ენა, ამიხილე გრძნობის თვალი; ცხოვრების გზა დამისახე, გამიბრწყინე მომავალი...
ვაშა, მაგ შენ ჩანგის ჟღერას, ხალხის სულის ნათესაეო! ჭეშმარიტი სალი გრძნობის დამნერგო და დამთესაეო.
ვაშა, ვაშა, შენ გულის თქმას, გულის ზრახვას და სასწაულს; დაგაფასებს ერი შენი გადავიხდის ღღესასწაულს!

ირ. ტ—ძე.

შიო მღვიმელი

ბიძია შიო მღვიმელის ნამდვილი გვარი ქუჩუკაშვილია. დაიბადა გორის მაზრაში, სოფელ ბრეთში, 1868 წელს, ყველიერის ხუთშაბათს, შიოობა დღეს, რის გამოც მას შიო უწოდეს სახელად. მამა მისი, ილარიონი ოსებში იყო გამწესებული მღვდლად, სოფელ ზაყაში და ჯომალაში. სწორედ ვაჟის შექმნისას იგი გადმოიყვანეს სოფელ ვარიანში. ასე რომ შიოც ბრეთიდან პირველად ვარიანს აწვიეს და ექვს წლამდის აქ გაატარებინეს ბავშვობის უმწიკვლო ხანა. მეშვიდე წელში ჯერ არ გადამდგარიყო, რომ მისმა უფროსმა ძმამ, გიორგიმ, სოფელ შილდის მასწავლებელმა, კახეთში წაიყვანა და იქ დააწყებინა სწავლა, სოფლის ბიჭებთან ერთად. სულ ორ წელიწადს გაგრძელდა შიოს მეცადინეობა. კახეთის ბუნებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნორჩ ყმაწვილზე. ყვარელმა, მისმა მთებმა, შემდეგ ალაზნანმა და მისმა თვალწარმტაცმა ველებმა ალტაცების ფრთები შეასხა მომავალ პოეტს.

შიოს ღიაკვანი ძმა ჰყავდა, მან გადასწვიტა შიოც ღიაკვანდ მოემზადებინა შუა მთის მონასტერში. ამ მიზნით სოფლიდან წამოიყვანა 1881 წ., დროებით გორში დასტოვა, ხოლო თვითონ მონასტერში გაეშურა, რათა გაეგო—ადგილი იქნებოდა თუ არა. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ,—იქ ადგილი არ აღმოჩნდა და ჩვენი შიოც ასცდა ღიაკვნობას. ძმას სურდა ისევ სოფელში წაეყვანა, მაგრამ შიო დავითაშვილმა, ვისთანაც ჩამომხდარნი იყვნენ, აღარ გაუშვა. მათ მოამზადებინეს გორის საოსტატო სემინარიაში; აქ ბევრი თხოვნისა და დავიდარების შემდგომ მიიღეს, ოღონდ საძილო ადგილი არა ჰქონდათ: დროებით საზარეულოში მოათავეს, ხან კი საავადმყოფოში გადაჰყავდათ.

სემინარიაში ყოფნა ფრიად ნაყოფიერი იყო შიოსთვის. ამ დროს აქ სწავლობდა ვაჟა-ფშაველა, მისი ძმები — ბაჩანა და თედო. განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია ვაჟამ, რომლის მკვეთრმა ენამ და ძლიერმა ფანტაზიამ თითქოს ზეშთავონების ფრთებით დაჰბერა შიოს.

ვინ იცის, იქნებ მართლა ბოლომდე ბედი გალიმებოდა და შიო ამ სამ ძმას მეოთხე ძმად ამოდგომოდა გვერდში, რომ მისი მწყალობელი დირექტორი სემიონოვი არ გადაეყვანათ. ახალმოსულმა რეფორმები შეიტანა სასწავლებელში, და მრავალ „გაწმენდას“ მოჰყვა თვით შიოს დათხოვნაც.

ბევრი წყვეტების შემდგომ შიოს სწავლის დათავება ეღირსა მხოლოდ

სამოქალაქო სასწავლებელში, 1883 წ. ამ სასწავლებელშივე დაიწყო წერა. მისი ლექსისთვის „ნატვრა“ კინალამ სკოლიდან დაითხოვეს. თუ ეს არ მოხდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მასწავლებელმა კოტე გვარამაძემ დაიხსნა იგი. მაგრამ ეს როდი იყო მისი პირველი ლექსი. არა, ჯერ კიდევ ბავშვობაში უფრო ნაადრევად ხალხურ ლექსების მიზაძვით „ეო-მეოს“ კილოზე გორის ბოქაულის სამთლიკუდოვის მოკვლა ასწერა. შინაარსი ამ ლექსისა ნორჩი სულის აღშფოთებაა; აწერილია სადად, ცოტა არა საკადრისი ფერადებით.

თქმა არ უნდა, ამ ლექსს არავინ დაუბეჭდავდა. დაბეჭდილიდან აღსა-

ნიშნავია პირველი, უსათაურო, რომელიც „დროება“-ში ივანე მაჩაბელმა მოათავსა 1885 წ. და დღეს ჩვენს დამატებაში ისტამბება.

1887 წელს შიო ეწვია თბილისს. აქ იგი მიიღეს წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მალაზიაში, სადაც დაჰყო 1909 წლამდე. იმ წლიდან მოყოლებული შიოს კალამი არ დამდგარა, და დღესაც, ამ ოცდაათი წლის სამწერლო მოღვაწეობის შემდეგ, იგი ყმაწვილური თავ-გამოდებით იმავე სიყვარულით განაგრძობს ბავშვებთან მეგობრობას, მათ აღზრდა-გაფურჩქნას.

დ. კასრაძე.

ჩემი სიძლარა

შემოკრებით ერთად, დასძახეთ მედგრა! თავი გავსწიროთ, მსხვერპლი შევსწიროთ!

გადავუხადოთ ჩვენს მამულს ვალი— ყრმანო მეტრძოლნო, აღმართეთ ხმალი!

არ შეიბრალოთ არც შეიწყალოთ, კარზე მომდგარი, მტრის ურდო ჯარი! მის კისერზეა ცოდო და ბრალი!— ყრმანო, თამამად! აღმართეთ ხმალი!

განა არ კმარა, რაც სისხლი ღვარა? ჩვენთვის აღთქმული ვიხსნათ მამული და მოვიხადოთ მით წმინდა ვალი!— აბა, წინ გასწით! აღმართეთ ხმალი!

სანდრო შანშიაშვილი.



ბრძოლის მოლოდინში ძველად.

შავთვალა შველი

სევდიანია შენი თვალები, როგორც მგოსანი უმიზნო ბრბოში.
 სევდიანია შენი თვალები, როგორც სიმღერა საქართველოში..

სევდიანია.. ნეტავი რისთვის? იქნებ გაცრემოვებს სამშობლოს ბედი? —
 არა, ცრემლისთვის არ გაჩენილხარ, არ აგატირებს შენ შემოქმედი..

არ აგატირებს.. რადგან მას დასწვავს გამოუცნობი ტრფობის სურვილი
 ეგ ტბა ბინდისა, — ჩამონისლული, მტრის ისრებისგან შემობურვილი

ეგ ატლანტიდის თეთრი მარჯანი, ეგ თეთრი მკერდი, თეთრი ტილოსი
 ორნი ზამბახნი ღელეთა შორის და სიზმრის კოშკი-მარმარილოსი..

მაშ რა აგატირებს შავთვალა შველო, აყვავებულა სამშობლოს მთები —
 იქ ყვავილები ისე ხარობენ, პეპელამ ისე გაშალა ფრთები —
 შენ კი ცრემლებად რად იღვენთები?.

გ. ლეონიძე.

უმრეული

ნუ მოხვალ ახლო, იყავი შორი,
 სიშორის ორმოს ავავსებ სევდით;
 მთელ ქვეყანაზე მარტო ვართ ორი
 ქვეყნის დასასრულს ორი შევხვდებით.
 სად შემიყვარდი, რად შემიყვარდი?
 მე არ ვკითხვლობ, არ მსურს გაგება.
 შენ გაუშლელი ტანჯვის ხარ ვარდი
 და ჩემი სული ეკლად დაგება..
 შენი სიშორის მიმაფრენს ქარი
 და სურნელების წვიმა მაწვიმებს;
 ანგელოზი ხარ, თუ ჯადოქარი
 წაიღე სული არ დაგამძიმებს!
 დამწვარ ოცნებას, დაფერფლილ ფიქრებს,
 ჩახლეჩილი ხმის ქებას დახეულს,
 და აწითლებულ ველურ ქიმერებს
 კუბოდ დაგიწნავ ძვირფასს, შორეულს!..

ტ. ტაბიძე.

მიმავალს

მშვიდობით, მარად თან გდევდეს ჩემი ლოცვა-კურთხევა შეუბღალავი;
 მზე წინ გიდლოდეს მშვენივლით სავსეს და ფიქრი გქონდეს დაუღალავი!
 ღამითაც მთვარე არ გშორდებოდეს, ვიდრე ცისკარი დარეკდეს ზარსა.
 ყვავილთ სარეცელს ტკბილად გეძინოს და მისცემოდეს სული სიზმარსა.
 სიჩუმეც შენ წინ გადიქცეს სმენად, ყური დაუგდოს მაგ ნახ სუნქვასა,
 თუ ვით აუღდავ ენას უენოს და გაუღვიძებ გრძნობას თვით ქვასა!
 მხოლოდ დილით კი ტბის დედოფალი გასაღვიძებლად გეწვიოს წამით
 და ხელში ეპყრას მას სალამური, რომ გაგაღვიძოს შვეების სიამით.
 დილის სიტურფემ ოდეს გიხილოს, შეკრთეს და ფერი უშალ იცვალოს;
 სიკვდილს ეძებდეს თვით დასასრული, გნახოს და წამსვე გარდაიცვალოს!

ი. დაროშვილი.

ამიხდა

კალო მება... ჩემი უმცროსი ძმე-
 ბი შარშან ჯარში წაიყვანეს და მა-
 შველი არავინა მყავდა. ჩემი დედა-
 კაცი მეხმარებოდა, მაგრამ საწყალი
 ვერას ხდებოდა. ჯერ ერთი ჩვილი
 ბავშვი ჰყავდა და მერე ახლა დედა-
 ჩემი იყო ლოგინად ჩავარდნილი: შვი-
 ლების დარღმა გახადა ავად. ჩემი დე-
 დაკაცი წამდა-უწუმ თავს მანებებდა
 და ბავშვისა და აუადმყოფის სანახა-
 ვად მიდიოდა.

დაბინდა, როცა კალო გამოუშვი,
 შევხვეტე და გამონიავებას შევუდექი.
 მაგრამ ის ოხერი ნიავი რალასაც ძა-
 ლობდა. შუა ღამე გადავიდა და მე
 ჯერ კიდევ ნახევარი საქმეც არ გამე-
 კეთებინა. რომ ვერა და ვერ გავაწყე
 რა, მივაგდე გაჯავრებულმა ფიწალი
 და დალოილ-დაქანცული კევერზე წა-
 მოვწყვეტი.

ძილმა თავი წამართვა. თვალები დაე-
 ხუტე... დედაც!.. რა საშინილება რამ
 ვნახე!.. მინდორში ვიყავი. ცა შოი-
 ლრუბლა, მოშავებნელდა, ასტყდა ქექი-
 ქუხილი და ისეთმა წვიმამ დაუშვა
 რომ კაცს წარღვნა ეგონებოდა. თვა-
 ლის დახამხამებაზე ისე დაესველდი
 რომ ლაზარეს დავემსგავსე. დავიხდე
 ტანისამოსზე და გული ამიკანკალდა:
 სისხლისფრად შეღებილიყო. მივიხდე-
 მოვიხდე: მთელი მინდორი სისხლით
 გამსილიყო.

— სისხლის წვიმა მოდის, სისხლი-
 სა! — წამოვიძახე თავზარდაცემულმა
 და მალეობ ადგილისაკენ გავეშურე.
 ერთს გორაკას წვერზე მოვექეცი და
 მინდორს გადავხედე: ზღვად ქცეული-
 ყო!

— ღმერთო! — ვსთქვი ჩემ გულში.
 — შენ გადაარჩინე ქვეყანა წალეკას!
 აკმარე ტანჯვა!.. რა დაგიშავეთ შე
 დალოცვილო რომ ასე გავქცევი?

გავხედე ზღვის ნაპირებს: ხალხით
 გამსილიყო. ზღვა ბობოქრობდა და
 ტალღას ტალღაზე აგორებდა, ნაპი-
 რებს ესროდა, ძალზე ეხეთქებოდა
 და გაშტერებულ მაყურებლებს ჯურ-
 ლმულში მიერეკებოდა. სამაგიეროდ
 ნაპირებზე აღამიანის თეთრ ჩონჩხებსა
 ტოვებდა.

ერთი უშველებელი ტალღა ჩემსკე-
 ნაც გამოექანა. შიშისაგან თვალები
 დაეხუტე და უძლეველ მტერს ველოდი.
 რამოდენიმე ხანს ვიყავი ასე გაჩერე-
 ბული. ტალღა არ მოდიოდა. გავახი-
 ლე ისევ თვალები და რა დავინახე!

სისხლის ზღვა გამჭრალიყო. ჩემ წინ
 გაყვითლებული ყანებით დაფენილი
 მიხდორი მოსჩანდა. ხალხი მკას შეს-
 დგომოდა. მომკლებს დავაქტერდი;
 მეტი წილი დედაკაცი იყვნენ. ძა-
 ლიან ცხელოდა. ყველას სახეზე ალ-
 მური ასდიოდა და შუბლზე ხვითქი
 გადასდიოდა.

— რა გასაკვირველია რომ მამა-
 კაცების ხელი აღარ ტრიალებს. —
 ვსთქვი ჩემ გულში. — ცოტანი ხომ არ
 მოუვლევიათ კერისათვის? ვინ იცის,
 რამდენი ვაჟკაცი დაიღუპა.

ხანგამოშვებით დედაკაცებში წი-
 ვილ-კვილი ისმოდა. გაღმა ძთას გავ-
 ხედე: უხარმახარ ჯავზე უხარმახარ
 ობობას დაებუნდა. ღმერთო!.. რამდენ-
 ნი ფეხები ჰქონდა!.. მერე რამ სიდი-
 დო ახლა!..

მთელ მინდორზე თოკის სისხო
 ქსელი გაება და ზედ ზოგან კაცის
 გახრწნილი გვამები ეკიდა, ზოგან თე-
 თრი კამკამა ჩონჩხები. ობობა ელვის
 სისწრაფით იქნევდა ფეხებს და ხან
 ერთს მომკალ შამაკს იტაცებდა ხან
 მეორეს; ყელში თავის ქსელს უჭერდა
 და მალე აკონწიალდა. დედაკაცე-
 ბი კიდევ თითო მამაკაცის მოტაცება-
 ზე ვიშვიშობდნენ.

ობობამ მეც შემასწრო თვალი: გა-
 მოექანა და ქსელზე ჩამოქცა: თმები
 ყალყზე დამიდა. ფეხები გავიქნ-გა-
 მოვიქნიე: ჩონჩხებმა ჩხარა-ჩხური და-
 იწყეს. ძალზე დავიყვრე და გამოიმე-
 ლვიდა. გადავ-გაღმოვტრიალდი: კევერი
 აჭრატუნდა.

გათენებულყო და მზე მომდგომო-
 და. ოფლში ვიყავი გაწურული.

— სიზმარი ყოფილა, — ვსთქვი და
 თავისუფლად ამოვისუნთქე. პირჯვარი
 გაღვიწრე. ზეზე წამოვხტი. ჩემი დე-
 დაკაცი მიდგომოდა პურსა და ვახი-
 ჩრობით ანიავებდა. ხელი წაეაშველე-
 ვიქნევდი ფიწალს და თან ჩემ მუ-
 ლეს სიზმარს ვუამბობდი. საწყალი
 წამდა-უწუმ ჩერდებოდა და პირჯვარს
 იწერდა.

— ღმერთო, წმინდა გიორგო! —
 იძახდა შეფიქრიანებული. — შენ ამორე
 ჩემ სახლს სისხლი და ყოველი მანვე
 სული! შენ მოუღე ბოლო ყოველ ავსა
 და ბოროტსა!..

— თეო! — დამიძახა გზიდან ვზირმა.
 დაანებე მუშაობას თავი. კანკლარია-
 ში გიბარებენ. ახლა წითელ ბლეთია-
 ნები გაჰყავთ ჯარში.

ელდა მეცა.

— ამიხდა! — წამოვიძახე გაფითრე-
 ბულმა და მუხლები ჩამეკვცა.

ინ-ბანი.

მეუამსი დედოფალი

ოხმალურიდან გადმოკეთებული ზღაპარი.

იყო კაცი ვინმე საკმაოდ შეძლებული. დაქორწინების შემდეგ, წლის თავზე მიეცა ვაჟიშვილი, რომელსაც სახელად თექანამ უწოდა. მისი მნახველი მაშინვე იგრძნობდა, რომ ეს ყმაწვილი გამოჩენილი და სახელოვანი კაცი გამოვიდოდა.

ეს ყმაწვილი ორი წლისა რომ შეიქმნა, საუბედუროდ მამა მოუკვდა, დარჩა ობლად, დარჩენ დედაშვილი. ჯერ ეს ყმაწვილი ხუთი წლისა არა ყოფილა, რომ საცხოვრებელი სრულიად გამოეღიათ. ამ დროს დედა მისმა მიჰყო ხელი სახლის ავეჯეულობის გაყიდვას. როცა ეს წყაროც გამოეღიათ, საშინელ სიღარიბეში ჩაიკვდიდნენ. თუმცა ამ ქვრივს შეეძლო შეორედ გათხოვებით ეხსნა თავი ამ საშინელ სიღატაკისაგან, მაგრამ მის მთხოვნელებს ყველას უარი შეუთვალა. სიმშლით, რომ არ დახოცილიყვნენ, ქვრივმა დაიწყო ხელ-საქმის კეთება: წინდის ქსოვა, სარეცხის რეცხვა, კრეკოვა და სხვა.

როცა ბავშვი შვიდი წლისა შეიქმნა დედამ მასწავლებელს მიაბარა, წერა-კითხვის და კეთილ ყოფა-ქცევის შესწავლად.

ამ ბავშვმა დაიწყო დაუხარულად სიარული ყოველ დღე მასწავლებელთან, და ძლიერ ბეჯითადაც სწავლობდა. 16 წლისა რომ შეიქმნა ყველა ამხანაგს აჯობა. არვის შეეძლო იმასთან კამათის გაწევა. ამ ობოლ ბავშვს სწავლის სურვილი ისე გაუჯდა ძვალ-რბილში, რომ სრულებით არ გაუფიქრია, სწავლას თავი დაეანებოყო. მაგრამ სიღარიბემ აიძულა და სასწავლებელს მოაშორა დედამ თავისი ვაჟი. ბოლოს ერთს ვაჟარს მიაბარა. რამდენსამე წლის შემდეგ ამ ვაჟარმა, რა ნახა ამისი გამჭირაობა და ბეჯითობა, წილში შეიყვანა და ბოლოს დუქანში ამხანაგადაც გაიხადა.

დედა და შვილი კვლავ ერთად ცხოვრობდნენ. როცა თექანამ 24 წლისა შეიქმნა, დაიწყო თავის შესაფერ ქალის ძებნა შესართავად.

თექანამ ცოლად შეირთო თავისი შესაფერი კეთილ-სინდისიერი ქალი. ორი წლის შემდეგ შეეძინა ერთი ასული, მხოლოდ მისმა დედამ ვერ გაუძლო მშობიარობას და მელოჯინეობას გადაჰყვა. თექანამ ალარ ისურ-

ვა მეორე ცოლის შერთვა, დედინაცოლის ხელში ობლის ჩადგება. როცა ეს პატარა ქალი ათის წლისა შეიქმნა, თექანამ მოუკვდა დედა, დარჩენ მართა მამა და ქალი.

თექანამ, როგორც ვაჟარს, ხშირად მოუხდებოდა ხოლმე შორს ქვეყნებში წასვლა. მხოლოდ ახლა ძნელი გადასაწყვეტი იყო, თუ დაბრუნებამდის ვისთვის მიენდო და ჩაებარებინა თავისი ყმაწვილი ქალი! ბოლოს ასე გადასწყვიტა, რომ თავის ერთ ნაცნობისთვის მიებარებინა.

თექანამ თავის გადაწყვეტისთანავე დაიბარა ეს ნაცნობი სახლში და თავისი აზრი გაუმჟღავნა:

— აი, ჩემო კარგო მეზობელო! თქვენი სახელი გაგონილი მაქვს და მეც კეთილ-სინდისიერი კაცად მიცნობხარ, როგორც მე გადამიწყვეტია, ამ ჩემს ერთად ერთ ასულს ჯერ ღმერთს და შემდეგ თქვენ გაბარებთ, გთხოვთ, კარგად შემინახოთ, ვიდრე მგზავრობიდან დაებრუნდებოდეს; რადგან მეზობელი ხართ და ახლო ნაცნობი, თქვენზე უკეთესს ვილას ვნახავდი ჩემდა დასახმარებლად! გთხოვ, საჭირო სანოვანე და ჰური უყიდოთ და თქვენის ხელით მიაწოდოთ ხოლმე, ვარედანაც ჩემს სახლზედ მამაშვილური თვალ-ყური გეჭიროთო.

„ძლიერ კარგად ვიახრიო“, თანხმობის ნიშნად უთხრა მეზობელმა. გულში კი რაღაცას ბოროტს განიზრახავდა და თუქანამ ღიმილით ეუბნებოდა: „ამანათს მეგობრად შეინახავსო“ და დაიწყო ერთი არაკი:

ერთ ნაგვის მუშას თავის სადგომში დაფარულად ასი მანათი ფული—მწარე ოფლით მონაგარი, ჰქონდა შენახული. როცა სამუშაოდ მიდიოდა, იმის საგონებელი მუდამ ის იყო და თავის თავად ამბობდა: „ვინმემ რომ მომპაროს ის კაპეიკობით გადანარჩუნებული ფული და ხელ-კარიელი დავრჩე, მაშინ რაღა მეშველებო“, ბევრი ფიქრის შემდეგ, წაიღო ეს ფული იქაურ ყაღთან და მოახსენა:

— ბატონო, ყადი! თქვენზე სანდო და სინდისიერ პირს ვილას ვნახავ! როგორც მოსამართლეს და შეგნებულს კაცს მოგმართეთ თქვენ, რათა შემიანათ ეს კაპეიკობით შეგროვილი ასი მანათი ფული, რომ სადგომიდან, ჩემ იქ არ ყოფნაში, არავინ მოიპაროს. გთხოვთ, როცა ჩემს ქვეყანაში მომიხდება წასვლა, მაშინ დამიბრუნოთო.

ყაღმა ალერსით და თავაზიანად გამოართვა ფული, დასთვალა ღ უთხრა:

— კარგად გიფიქრია, შვილო, დეე იყოს ჩემთან, როდესად დაგჭირდება, მოდი და წაიღეო.

ერთის თვის შემდეგ ამ მუშას მოუხდა თავის თანამემამულეებთან ერთად სამშობლოში წასვლა. მივიდა ყაღთან და მოსთხოვა მიბარებული ფული, მიგრამ ყაღმა შეუტია და უთხრა:

— რას ამბობ მუშაე! რას როშაე! გასწი დაიკარგე აქედანა, რა ფულსა თხოულობ? რა მიგიცია ჩემთვისაო.

საბრალო მუშა, პირში ჩალა გამოვლებული, გულ-დაწყვეტილი და სასოწარკვეთილი გარედ გამოვიდა და აღარ იცოდა რა ექმნა, ვისთვის მიემართა და ან ვისთანდა ეჩივლა?!

საბრალო მუშამ კვლავ დაიწყო აღრინდელივით მუშაობა, მაგრამ ვაი იმ მუშაობას, აღარც გული ჰქონდა მუშაობაზე და აღარც წელი მოსდევდა. მუდამ ოხრავდა და იცრემლებოდა ცხადად მოპარულ ფულის გამო.

რამდენსამე ხანს შემდეგ ეს მუშა შევიდა ერთ სახლში, ნაგვის წასაღებათ. ნაგვის აკრეფის დროს მოაგონდა უსამართლოდ წართმეული ფული, გულ-ამოსკენით ამოიოხრა და ქვეითი დაიწყო, დიასახლისმა გაიგონა ეს ოხვრა და ჰკითხა მიზეზი. გულ-ნაკლებმა მუშამ მოახსენა ყოველივე დაწვრილებით. როცა ეს სამუშაო ამბავი მოისმინა დიასახლისმა, უთხრა მუშას:

— ხვალ დილით ათ საათზე მოდი აქ; მე გამოგიტან იმ ფულსაო.

მეორე დილით მუშა მივიდა, დიასახლისი საჩქაროთ მოემზადა ყაღთან წასასვლელად და შემდეგ ასე დაარქვა მუშა:

— მე ამ წუთას მივიღე ყაღთან, ჩემ იქ ყოფნის დროს შემოხვალ და ყაღს მოსთხოვ შენ მიბარებული ფულსა, ჩემთან უარს ვეღარ გეტყვის და სრულად დაგიბრუნებს ფულსაო.

ბოლოს მიუბრუნდა თავის მოახლეს და ისიც ასე დაარქვა:

— მუშის შემოსვლის ათი წუთის შემდეგ შენ შემოიბრძინე ჩემთან და ჩემი ქმრის მოსვლა მახარეო.

დიასახლისი შევიდა ყაღთან, სალამის და მოკითხვ-ს შემდეგ თვალ-მარგალიტებით და ნივთებით საცხე გამოკრული ბოხჩა მძიმედ ტახტზედ დასდო და წყნარად ბოხჩის წვერების ხსნა დაუწყო და თან ყაღს ასე ოსტატობით დაუწყო ლაპარაკი:

— ბატონო, ყადი! აი ნახეთ ეს ნივთები, გთხოვთ, ჩაიბაროთ და როგორც თქვენი საკუთრება, ისე შემიანახოთ, ჩემს დაბრუნებამდის, რადგანაც აე ჩემ ქმართან მივიღე არ სხვა ქვეყანაში; ხომ მოგესხენებათ, სახლში

მოსამსახურებს ვერ ვაძინებო, მძინე ქონებას. გარდა ამისა ფულსაც მაქვს მოსაბარებელი, და აი, ეს ფულიც მიითვალეთო.

დიასახლისის დარიგებისამებრ, მუშამ კარებში თავი შეკყო, შევიდა ყაღთან კრძალვით, თავი დაუკრა და მოწიწებით მოსთხოვა, ამას წინად მისგან უარყოფილი ფული.

დიასახლისთან სახელის გასაკეთებლად, რადგანაც მუშის მიბარებულ ფულთან ქალის მოტანილი იმაზედ ათასობით მეტი იყო. ყადი ამ ჯერად მუშას ალერსიანად მოექცა, უარს რა ათქმევინებდა, დაუთვალა და მისცა ფული მუშას (ბევრის მომდონე ცოტასაც დაჰკარგავსო, სწორედ ასე მოუვიდა ყაღსაც) შემდეგ მიბრუნდა და უთხრა დიასახლისს:

— აი, ხედავთ, ქალბატონო! ამ მუშამაც ამ ერთის თვის წინად თავისი ოფლით შეგროვილი ფული მომაბარა, მთხოვა თუ არა, ხელად დაგუბრუნეო.

ხელ დატანებაზე მოახლეც შევიდა და დარიგებისამებრ ქალბატონს მოახსენა:

— ქალბატონო! სამახარობლო მერგება, ბატონი მობრძანდა და საჩუქარიც მომიტანაო.

დიასახლისმა საჩქაროდ ჩაალაგა ნივთები, შეკრა ბოხჩის წვერები და დაიწყო თამაშობა. მუშამაც დაიწყო ტლინკვა თავისი დაკარგული ფულების პოვნის სიხარულითა, მოახლემაც მიჰბადა იმათ და იმანაც გაშალა მკლავები. ახლა კი ყადი მიუხვდა დედაკაცის ხრიკსა, წამოღვა და თითონაც დაატრიალდა.

— მე თუ ვთამაშობ, ქმრის მოსვლის სიხარულითა, მუშაც თამაშობს, რადგან თავისი ფული ვაინაღდა, მოახლეც იმისთვის თამაშობს, რომ საჩუქარი მიუღია, მხოლოდ მიკვირს, თქვენ რაღა ვათამაშებთ მაგ ხნის კაცსაო? ჰკითხა დედა-კაცმა ყაღს.

— მეც იმიტომ ვთამაშობო, უთხრა ყაღმა, აგერ ორმოცი წელიწადია ამ გვარი ხრიკი და ოინი არც მომსვლია და არც გამეგონა. შენისთანა კუდიან დედა-კაცს, რომ ამითი გადავიჩიო, ამის მეტი სიხარული რაღად მინდაო.


ვაიძვერა მეზობელმა მოთხრობა დაასრულა, შემდეგ დაუმტა: ბატონო, ხომ ისმინეთ! „ამანათს არ ელაღატება“. თქვენს ქალს შეძლებისადაგვარ მზრუნველობას არ მოვაკლებ და როგორც მშობელი მამა ისე ვიზრუნებო.

მეორე დღეს შესხდნენ ცხენებზე თექანამ და იმისი მოჯანაგირე. გამოეთხოვა თავის ერთად ერთ ასულს და გზას გაუღებინა.

აღ. იაკ. ახალციხელი. (შემდეგი იქნება)



სიძვირემ და გაქირვებამ მკვიდრ მეზობრებსა უყო ჭიჭი, შეებრძოლა, ხრიკი უგდო, წამოელღართა და გაჰყლიტა!



ესლა მოვანზე თავს მითი იროთობს, დაწერილ ნიხრით თვის ოთახს ითბობს!